საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-SECURITY POLICE DEPARTMENT

№68081 „17" 01 2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

წარმოგიდგენთ, საქართველოს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ საავიაციო უშიშროების ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ #12 კონკურსთან დაკავშირებულ დოკუმენტების ასლებს.

გთხოვთ თქვენს განკარგულებას მასალების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

დანართი:

1. ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ;
2. 2011 წლის 28 მარტის საკონკურსო კომისიის სხდომის #2 ოქმი, კონკურსში მონაწილე კონკურსანტის –შპს „მედპროექტის" გამარჯვებულად გამოვლენის და ხელშეკრულების გასაფორმებლად მოწვევის შესახებ;
3. ხელშეკრულება # 10/10/01 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

პატივისცემით,

თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ახვლედიანი

0031, საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11კმ, ტელ: 2966316, (ფაქსი) 2517497, WWW.SPD.GE
0031,GEORGIA,TBILISI,DAVID AGMASHENEBELI ALLEY 11-TH KM, TEL:2966316, (FAX) 2517497, WWW.SPD.GE

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

სატენდერო კომისია და სატენდერო კომისიის აპარატის ყველა წევრი ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის თანახმად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ საავიაციო უშიშროების ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საპროექტო სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში **#12** ინტერსთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით. (დაფინანსების წყარო – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთარი სახსრები).

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე **მიხეილ ახვლედიანი**

სატენდერო კომისიის წევრები: მამია კომახია

პაატა ნუცუბიძე

პაატა ზურებიანი

დავით ივანიძე

დავით სიგუა

საკონკურსო კომისიის მდივანი გვანცა ბერუჩაშვილი

28/03/2011

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

№2

ქ. თბილისი *-28- მარტი 2011 წელი*

დღის წესრიგი:

2011 წლის 23 მარტს (17:00 საათზე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ საავიაციო უშიშროების ადმინისტაციული შენობის მშენებლობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში №12 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვა.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - მ. ახვლედიანი
საკონკურსო კომისიის წევრი - მ. კომახია
საკონკურსო კომისიის წევრი - პ. ნუცუბიძე
საკონკურსო კომისიის წევრი - პ. ზურებიანი
საკონკურსო კომისიის წევრი - დ. ივანიძე
საკონკურსო კომისიის წევრი - დ. სიგუა

საკონკურსო კომისიის მდივანი - გ. ბერუჩაშვილი

კომისიამ მოისმინა და განიხილა:

სხდომაზე საკონკურსო კომისიის მდივანმა, გვანცა ბერუჩაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, შ.პ.ს "მედპროექტმა", საბოლოო ფასით – 13 600 (ცამეტიათასექვსასი) ლარი.

შ.პ.ს "მედპროექტი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადების მოთხოვნებს.

კომისიამ გადაწყვიტა:

შპს „მედპროექტი" გამოვლინდეს გამარჯვებულად და მოწვეულ იქნას ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე **მიხეილ ახვლედიანი**

საკონკურსო კომისიის წევრები: მამია კომახია

პაატა ნუცუბიძე

პაატა ზურებიანი

დავით ივანიძე

დავით სიგუა

საკონკურსო კომისიის მდივანი  გვანცა ბერუჩაშვილი

28.03.2011

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №10/10/01

ქ. თბილისი 01 აპრილი 2011 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ს.ს.ი.პ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE85LB0121158008584000, ს/ს "ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი-LBRTGE22, სკ-211350928), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის **მიხეილ ახვლედიანის** სახით და

შპს "მედპროექტი" (მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის 29ა, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №170467649, ს/ს პროკრედიტ ბანკი, ბანკის კოდი BAGAGE22, სკ-211328856), შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ვახტანგ ჯანაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

2. ხელშეკრულების საგანი

ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ღირებულებაა 13 600 (ცამეტიათასექვსასი) ლარი და 00 თეთრი.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ გადასახადებს.

3.3 შესყიდვა ხორციელდება ს.ს.ი.პ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთარი სახსრებით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა). წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 10 დღისა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- არქიტექტურული პროექტი;
- კონსტრუქციის პროექტი;
- ელექტროობის, სუსტი დენების, სახანძრო და სიგნაზიციის პროექტი;
- გათბობის, არხული კონდენცირება-ვენტილაციის პროექტი;
- შიდა და გარე საკანალიზაციო გაყვანილობისა და წყალმომარაგების პროექტი;
- სახანძრო წყალმომარაგების პროექტი;
- მეხამრიდი დამიწების პროექტი.
- მოცულობითი უწყისი და ხარჯთაღრიცხვა (ფორმა #2).
- პროექტის ესკიზური ვარიანტი.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, ასევე შემსყიდველთან შეთანხმებით შეიტანოს პროექტში მცირე შესწორებები;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ხარჯთაღრიცხვაში შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები ნაკლები აღმოჩნდება პროექტთან მიმართებაში, მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს სხვაობის შესაბამისი ღირებულება;

დ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ე) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა იყოს მაღალი, შეესაბამებოდეს მოთხოვნებს და ექვემდებარებოდეს სახელმწიფოში არსებულ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის საქონლის ხარისხის კონტროლი.

6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: ს.ს.ი.პ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს შესყიდვებისა და სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელობიათა საქმეთა ინსპექტორი დავით სიგუა.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება მიწოდებული საქონელი უხარისხო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი საქონელი ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარისხიანი საქონლის მიწოდებას და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ უხარისხო საქონლის ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს აღნიშნული უხარისხო საქონლის ღირებულების დაბრუნება.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა მომსახურების პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

7.1 გაწეული მომსახურების, მათ შორის ეტაპობრივის, მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს ს.ს.ი.პ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს შესყიდვებისა და სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელობიათა საქმეთა ინსპექტორი დავით სიგუა.

7.3 თუ მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

8.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

8.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ამ მუხლის 8.3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტების შესაბამისად.

8.5 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

9. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შეუხრულებელი მომსახურების ღირებულების **0,2%**-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **5 (ხუთი)** პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ასევე მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2011** წლის **25** აპრილის ჩათვლით.

12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულების სპეციფიკურ და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციფიკურ პირობებს.

12.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

12.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე – შემსყიდველს.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

ს.ს.ი.პ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

თავმჯდომარის მოადგილე

[illegible] ლ ახვლედიანი

შპს "[illegible]"

დირექტორი

ვახტანგ ჯანაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 20 აპრილი 2011 წელი

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნმა, ერთის მხრივ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს, შესყიდვებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა დავით ივანიძემ და გმს ინსპექტორმა დავით სიგუამ და მეორეს მხრივ, შპს "მედპროეტის" დირექტორმა ვახტანგ ჯანაშვილმა შევადგინეთ აღნიშნული აქტი მასზედ, რომ ვ. ჯანაშვილისგან 2011 წლის 20 აპრილს ჩავიბარე 2011 წლის 01 აპრილს #10/10/01 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი, კერძოდ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელის მოწერით:

ჩავაბარე: ვ. ჯანაშვილი

ჩავიბარე: დ. ივანიძე

დ. სიგუა